სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო
დადგენილება № 01-05-04/245

ქ. თბილისი

20 სექტემბერი 2017

საგანმანათლებლო პროგრამის მოდიფიცირებული სახით დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“, უნივერსიტეტის შესაბამისი ფაკულტეტების წარდგინების საფუძველზე **აკადემიური საბჭო ადგენს:**

1. მოდიფიცირებული სახით დამტკიცდეს ჩარჩოდოკუმენტის საფუძველზე შექმნილი ქვემოთ ჩამოთვლილი მოდულური საგანმანათლებლო პროგრამები:
   „სამთო ტექნიკოსი,“ III საფეხური;
   „სამთო ელექტრომექანიკოსი“, III საფეხური;
   „მყარი წიაღისეულის გამდიდრების ტექნოლოგიის სპეციალისტი“, III საფეხური.
2. წინამდებარე დადგენილება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე;
3. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში, ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მეშვეობით, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, №6.
4. დადგენილებას თან ერთვის ამონაწერი სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტის საბჭოს სხდომის №6 ოქმიდან.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე ა. ფრანგიშვილი

აკადემიური საბჭოს მდივანი გ. სალუქვაძე